


ზღვის ბალახი



ზღვის ბალახი, ზოსტერა (*Zostera*), ზღვის მრავალწლოვან ბალახოვან მცენარეთა გვარი ზოსტერასებრთა ოჯახისა. წყალში ჩაყურყუმელავებული მხოხავფესურიანი მცენარეებია. 10-მდე სახეობა გავრცელებულია სუბტროპ., ზომიერ და სუბანტარქტიკულ ზღვებში. საქართველოში (აფხაზეთსა და აჭარაში) მხოლოდ 1 სახეობა გვხვდება – *Z. marina*; მისი ფესურა საკმაოდ მსხვილი და მარტივია; ღეროს სიგრძეა

60–150 სმ, ფოთლისა – 50 სმ და ხშირად უფრო მეტიც (1 მ-მდე). იზრდება ზღვაში, ქვიშიან და ლამიან ფსკერზე 10 მ სიღრმემდე, ადის აგრეთვე მდინარის დელტებში. მისი გამხმარი ფოთლები („ზღვის ბალახი“) იხმარება ლეიბის დასათენ და შესაფუთ მასალად, ზოგჯერ – სასუქად.
